პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

№ 80 (7641)
25 აპრილი,
ოთხშაბათი.
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერშია:

ტურნირში გამარჯვება ძნელია და საპრესტიჟო
(ინტერვიუ მ. მურეშანთან, მე-2 გვ.)

ავტოგრაფები რეკლამად, „ავტოგრაფები" ტკივილად...
(მე-2 გვ.)

ქართული ფეხბურთის აკვანი ზეიმობს
(მე-3 გვ.)

კიდევ ერთხელ საჭადრაკო სენსაციების უნებლიე ავტორზე
(მე-4 გვ.)

წაგებაც არის და წაგებაც

II ტური. 23 აპრილი. კრამლინგი (შვეცია) — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, ახმილოვსკაია — ხუგაშვილი 1:0, ივანკა (უნგრეთი) — მურეშანი (რუმინეთი) 0,5:0,5, ვიზე (პოლონეთი) — გაფრინდაშვილი 1:0, იოსელიანი — გურიელი 0:1, ლიტინსკაია (ლვოვი) — ლაზარევიჩი (იუგოსლავია) 1:0. გადაიდო ანგელოვა (ბულგარეთი) — ალექსანდრიას შეხვედრა.

П. КРАМЛИНГ
Швеция
М. ЧИБУРДАНИДЗЕ
СССР

ამბობენ, დიდოსტატებს უჭირთ თამაში თავიანთ დაბადების დღეს. ამის მაგალითად მოჰყავთ ამსტერდამის 1938 წლის დიდოსტატთა ტურნირში კაპაბლანკას სასტიკი დამარცხება ალიოხინთან თავისი დაბადების 50 წლისთავის დღეს, მაგრამ ეს ნათქვამი მუდამ როდი მართლდება. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ვერაფერი შევამჩნიეთ პია კრამლინგს, რომელსაც 23 აპრილს 21 წელი შეუსრულდა და მეტოქედ თვით მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ჰყავდა.

პია კრამლინგმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა საჭადრაკო სამყაროში... ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული წარმატებებით. სწორედ ამ მიღწევებისთვის მიანიჭეს მას შარშანწინ დიდოსტატის წოდება... ქალთა შორის, მოჭადრაკე ქალებს კი გულადმა შვედმა გოგონამ აქამდე მხოლოდ ორჯერ გაუმართა პაექრობა. პირველად — ქალთა X საჭადრაკო ოლიმპიადაზე ლუცერნში, ხოლო მეორედ — ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში. კარგი თამაშით, შარშან ვაჟთა ტურნირებში კრამლინგმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ მას „ჭადრაკის ოსკარი" მიაკუთვნა. ამ აღიარებამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მსოფლიო პირველობის მომავალ ციკლში პია კრამლინგი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. ამდენად ცხადია, საინტერესოა მისი მონაწილეობა ჩვენს ტრადიციულ ტურნირში, სადაც შვედი მოჭადრაკე ბევრ თავის მომავალ მეტოქეს უნდა შეხვდეს.

კრამლინგს გულთბილად მიულოცეს დაბადების დღე ტურნირის მონაწილეებმა, საორგანიზაციო კომიტეტმა და მისმა შეფებმა — გაერთიანება „საქაბრეშუმის" წარმომადგენლებმა.

მეფის პაიკის წინსვლის პასუხად ჩიბურდანიძემ სიცილიური დაცვა აირჩია. კრამლინგი იერიშის დაწყებას არ ჩქარობდა, ცდილობდა ცენტრში პოზიციური უპირატესობა მიეღო. მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქი ფიგურების გაცვლით ხელს უშლიდა მას ნაზრევის ხორცშესხმაში. ბოლოს მაიამ გადაწყვიტა თავად გამოეჩინა აქტიურობა. მან მოამზადა პაიკის წინსვლა მეფის ფრთაზე და თამაში უაღრესად დაიძაბა. მაგრამ ამ პოზიციაში კრამლინგმა მაიას ყაიმი შესთავაზა. მსოფლიო ჩემპიონმა კარგა ხანს იფიქრა და წინადადება მიიღო.

ეს იყო კრამლინგისა და ჩიბურდანიძის მეორე ყაიმი. პირველად ისინი დაზავდნენ ლუცერნში, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

მალგორჟატ ვიზემ სწრაფად გაითამაშა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი უმწვავესი ვარიანტი და ფიგურის შეწირვით ინიციატივას დაეუფლა. მაგრამ ნონა გაფრინდაშვილი ოპტიმისტურად აფასებდა დაფაზე შექმნილ სიტუაციას. მან თითქოს საუცხოო გაგრძელებაც მონახა, მაგრამ საბოლოოდ სიძნელეებს მაინც ვერ დააღწია თავი. ვიზე კვლავ სწრაფად თამაშობდა და 29-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.

— ამ სადებიუტო სისტემას ძალიან ღრმად ვიცნობ და რამდენიმე პარტიაც მაქვს მოგებული, — უთხრა ვიზემ თავის მეტოქეს. — ამიტომაც ვთამაშობდი თავისუფლად და სწრაფად.

— მეც ვიცნობდი ამ სისტემას, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიზეს იგი მართლაც უდიდესი მონდომებით, მთელი სიგრძე-სიგანით დაუმუშავებია. მე ეს ვერ გავითვალისწინე და, როგორც იტყვიან, შედეგმაც არ დააყოვნა, — თქვა ნონამ.

ფრანგულ დაცვაში გურიელმა იოსელიანის წინააღმდეგ მივიწყებული ვარიანტი გაითამაშა. მან ბრძოლის სიმძიმე ლაზიერის ფრთაზე გადაიტანა და ენერგიული თამაშით უპირატესობაც მოიპოვა. იოსელიანი იძულებული შეიქნა უარეს ენდშპილში გადასულიყო, მაგრამ გურიელის უპირატესობა აქაც უდავო იყო. როგორც კი მისმა გამსვლელმა პაიკმა კუ „იმსხვერპლა", იოსელიანმა ფარხმალი დაყარა.

— ლაზიერის გამბიტში ახლებურად ვითამაშე, მაგრამ სასურველი პოზიცია ვერ მივიღე. ფიგურების განვითარება ვერ დავასრულე და დაცვის რთული ამოცანების წინაშე აღმოვჩნდი, — მითხრა თამარ ხუგაშვილმა ახმილოვსკაიასთან თავისი პარტიის შესახებ.

აქტიური თამაშისათვის ხუგაშვილმა ლაზიერიც არ დაინანა, მაგრამ მისი გვირგვინოსანი იმდენად არახელსაყრელ პოზიციაში იყო, რომ საქმეს მსხვერპლის გაღებამაც ვერაფერი უშველა.

პირდაპირ უნდა ითქვას, აშკარად უმწეო შთაბეჭდილებას ტოვებდა ლაზარევიჩის თამაში ლიტინსკაიასთან. ამიტომაც წააგო მან თითქმის უბრძოლველად. ვკითხე, რა მოხდა-მეთქი.

— საერთოდ, ამინდის ჭირვეულობა ჩემზე ძალიან მოქმედებს. ეტყობა, ჩემთვის ახლა ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს...

ივანკა და მურეშანი არ ცდილან თამაშის გართულებას. როგორც ჩანს, ყაიმი ორივეს ხელს აძლევდა, ამიტომაც ოციოდე სვლის მერე დაზავდნენ.

ამ ტურნირში ნანა ალექსანდრიას ვერ ვცნობთ. სად გაქრა მისი მიმზიდველი, მახვილი აზრით გამდიდრებული თამაში? ანგელოვას და ნანას პარტია სწრაფად გადავიდა ენდშპილში, სადაც ბულგარელ ოსტატს ზედმეტი პაიკი და ჩინებული პოზიცია ჰქონდა. შემდგომ ნანამ გააქტიურა თამაში, მაგრამ ანგელოვამ ლაზიერის ფრთაზე ორი გამსვლელი გადაბმული პაიკი მიიღო. პარტია გადაიდო. ჩვენმა დიდოსტატმა ყაიმის გზა უნდა ეძებოს.

მეორე ტურმაც დაადასტურა, რომ მოჭადრაკე ქალები ყოველთვის უშეღავათოდ და დაძაბულად თამაშობენ.

თენგიზ გიორგაძე,
ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

სურათებზე: მაია ჩიბურდანიძე და პია კრამლინგი ყაიმზე შეთანხმდნენ; პია კრამლინგს დაბადების დღეს ულოცავს ნონა გაფრინდაშვილი.

* * *

გუშინ

III ტურში დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია — გაფრინდაშვილი დამარცხდა კრამლინგთან. მურეშან—ვიზეს, ალექსანდრია — ლიტინსკაიას, გურიელი — ანგელოვას, ჩიბურდანიძე — იოსელიანის, ლაზარევიჩ— ახმილოვსკაიასა და ხუგაშვილ— ივანკას პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ კრამლინგს 2,5 ქულა აქვს, ჩიბურდანიძეს — 1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

დღეს, 25 აპრილს IV ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ლიტინსკაია — გურიელი, ლაზარევიჩი — ალექსანდრია, ანგელოვა — ჩიბურდანიძე, იოსელიანი — გაფრინდაშვილი, კრამლინგი— მურეშანი, ვიზე — ხუგაშვილი, ახმილოვსკაია — ივანკა.

თბილისის სპორტის სასახლეში ხვალ დაიწყება და 29 აპრილამდე გასტანს საქართველოს ღია ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ოლქის, ესტონეთის, ბაქოს, ალმა-ათის, დუშანბეს, ვლადივოსტოკის, მოლდავეთის, ლერმონტოვის, ლენინგრადის, სომხეთის, კიევის, ორჯონიკიძის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის (5) ნაკრები გუნდები.

* * *

ასპარეზობა დაიწყება 11 საათზე.

ბრძოლას იწყებენ წყვილები

წვიმამ კვლავ გარკვეული კორექტივი შეიტანა იუნიორთა საერთაშორისო ტურნირის გუშინდელ ასპარეზობაში. შეხვედრები ხან „დინამოს" ღია კორტებზე მიმდინარეობდა და ხან ჩოგბურთის სასახლის ხის, ეგრეთ წოდებულ „სწრაფ" კორტებზე. უკანასკნელი ხელსაყრელი გამოდგა 17 წლის დინამოელი გია ლეჟავასათვის. მან მოუგო წინა დღეს დაწყებული შეხვედრა უნგრელ ლასლო პატაის (შედის მსოფლიოს უძლიერეს იუნიორ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში) — 5:7, 6:0, 6:2.

საღამოს გ. ლეჟავას კიდევ ერთი შეხვედრა ელოდა, ამჯერად თანაგუნდელ ვლადიმერ გაბრიჭიძესთან. გაბრიჭიძე დაწინაურდა (6:3, 6:5) — ორთაბრძოლა გადაიდო სიბნელის გამო.

გაგვახარა 16 წლის სპორტის ოსტატმა ირაკლი მეტრეველმაც, რომელმაც ანგარიშით 6:4, 6:0 სძლია ბულგარეთის ჩემპიონს ჭაბუკთა შორის მილან იანაკიევს. ცნობილი ჩოგბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრე მეტრეველის შვილს განსაკუთრებით კარგად გამოსდის მარჯვენა დარტყმა. გუშინ საღამოს იგი ასპარეზობდა პოლონელ რიშარდ მაიორთან, რომელიც დაამარცხა ანგარიშით 6:1, 6:2.

ოსტატობის კანდიდატმა ლეილა მესხმა („სპარტაკი") გუშინ მოუგო ჯერ თანაგუნდელს ეკა ბოკუჩავას (6:0, 6:0), მერე კი ხარკოველ გალინა ბეზრუკს (7:5, 6:2) და მეოთხედფინალში გავიდა.

დღეს, დილის 10 საათიდან ორივე კორტზე გაიმართება წყვილთა პირველი შეხვედრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მარგარეტ მურეშანი:

„მიყვარს საქართველო და ქართული ენა“

საჭადრაკო სამყარო კარგად იცნობს რუმინელ დიდოსტატს მარგარეტ მურეშანს. ქართველ საზოგადოებას კი მასთან უფრო ახლო ნაცნობობა აკავშირებს — ორი წლის წინათ თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მურეშანმა პირველი ადგილი დაიკავა, ლამაზი, გააზრებული თამაშით დაამახსოვრა თავი ჭადრაკის სპეციალისტებს, იშვიათი მომხიბვლელობითა და გრაციოზულობით კი ერთბაშად მოინადირა სასახლეში მოსულ ჭადრაკის მოყვარულთა გულები.

ცთუნებას ვერც მე ვუძლებ და გული უნებლიეთ „ძველი ნაცნობისკენ“ მეწევა:

— ძნელად, რომ ამ შეჯიბრებას სხვა რომელიმე საერთაშორისო ტურნირი შეედაროს. მხედველობაში მაქვს ძლიერი შემადგენლობა. ახლა არ მახსენდება არც საბჭოთა კავშირში, არც სხვა რომელიმე ქვეყანაში ჩატარებული საერთაშორისო შეჯიბრება, ამდენი დიდი მოჭადრაკისთვის რომ მოეყაროს თავი. ლევიტინა, ვერეცი, სემიონოვა, ლიუ შილანი და... თამამად შეგიძლია ტურნირს მსოფლიო ჩემპიონატი უწოდო.

● როდის და ვინ გასწავლათ ჭადრაკის თამაში?

— კუდაბზიკობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ამ კითხვაზე არ მიყვარს ხოლმე პასუხის გაცემა. თამაში ძალიან გვიან, თექვსმეტი წლისამ დავიწყე, დაახლოებით იმ ასაკში, როცა მაია ჩიბურდანიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჭადრაკში ჩემი მოსვლა კი შემთხვევამ განაპირობა. ბავშვობაში ფრენბურთით ვიყავი გატაცებული. ერთხელ ტრავმა მივიღე და საავადმყოფოში მომიხდა წოლა. სწორედ იმ დროს მასწავლა ჭადრაკი ჩემმა უფროსმა ძმამ.

● საქართველოში პირველად შარშანწინ იყავით. მას შემდეგ ხომ არაფერი შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

— თითქმის არაფერი, გარდა იმისა, რომ ტიმიშოარადან ბუქარესტში გადავედი საცხოვრებლად. ვარ ჟურნალ „ფლაკრას“ კორესპონდენტი. მეუღლე ყოფილი მძლეოსანია და ბუქარესტის სპორტკომიტეტში მწვრთნელად მუშაობს. გვყავს ვაჟი, რომელსაც მალე რვა წელი შეუსრულდება.

● თქვენზე ამბობენ, პოლიგლოტიაო...

— ამბობენ... განათლებით ფილოლოგი ვარ, დავამთავრე ქალაქ კლუჟის უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ვიცი უნგრული, გერმანული, რუსული, იტალიური, იუგოსლავური და, რა თქმა უნდა, რუმინული და ფრანგული ენები. საქართველოში პირველად რომ ვიყავი, ძალიან მომეწონა თქვენი გამორჩეულად მღერადი და მელოდიური ენა, გადავწყვიტე მესწავლა და მეორედ რომ ჩამოვიდოდი, ჩემს აქაურ მეგობრებთან ქართულად მელაპარაკა, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა...

● ახლა მთელი საჭადრაკო სამყაროს ყურადღება კრამლინგისკენ არის მიპყრობილი. მისმა ჩამოსვლამ ამ ტურნირსაც მეტი ინტერესი შესძინა. როგორია თქვენი ბალანსი შვედ მოჭადრაკესთან?

— კრამლინგს ორჯერ ვეთამაშე. პირველი პარტია 1982 წელს წავაგე. შარშან კი ესპანეთის პლაია-დე-აროს ტურნირზე ჩვენი შეხვედრა ყაიმით დასრულდა და მეორე-მესამე ადგილები გავიყავით.

ინტერვიუ აიღო
ნანა ჯოხარიძემ.

არ გეკადრებათ, მწვრთნელებო!

— **გააჩერე**... არ გააჩერო... დააბრუნე... არ დააბრუნო... ეკუთვნოდა... ვინ მიართვა...

შეიძლება მკითხველი დაიბნეს, ვერ მიხვდეს, სად შეიძლებოდა ასეთი დიალოგი გამართულიყო, მაგრამ მან, ვინც 14-16 აპრილს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლების პირად-გუნდურ პირველობას კლასიკურ ჭიდაობაში, იქნებ ერთი-ორი რეპლიკა კიდევ გაიხსენოს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საკმარისი იყო მწვრთნელს თავის კოლეგაზე უფრო ენერგიულად ერბინა ხალიჩის გარშემო და ეყვირა, რომ გამარჯვების სასწორი მისი აღსაზრდელისკენ გადახრილიყო.

ასეთი რამ სპორტულ ასპარეზობებზე, მით უმეტეს, საყმაწვილო შეჯიბრებებზე არ უნდა ხდებოდეს. როგორ უნდა გაზარდოს მწვრთნელმა ნამდვილი ფალავანი, როგორ უნდა იწამოს მისი ნორჩმა სპორტსმენმა, როცა აღმზრდელი არანაირ „ილეთს“ არ თაკილობს სასურველი შედეგის მისაღწევად, როცა შეჯიბრება ლამისაა მწვრთნელთა შერკინების არენად გადაიქცეს?

ეს შენიშვნა, ცხადია, ყველას არ ეხება, არც ის იფიქროთ, თითქოს შეჯიბრებაზე ზოგიერთი გუნდის მესვეურთა „ორთაბრძოლების“ მეტი არაფერი გვენახოს. ასპარეზობის ორგანიზატორებმა (მთავარი მსაჯი ო. ეგაძე) იზრუნეს იმაზე, რომ ტურნირის არც ერთი მონაწილე სამახსოვრო საჩუქრისა და ვიმპელის გარეშე არ დარჩენილიყო. გამარჯვებულებს გადასცეს საჩუქრები და დიპლომები, ყველაზე ტექნიკურ და მიზანსწრაფულ მოჭიდავეებს — სპეციალური პრიზები, საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ასპარეზობამ გამოავლინა ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებსაც, თუ მუყაითად იშრომებენ, შეუძლიათ კარგი მოჭიდავეები დადგნენ. სპეციალისტთა და მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მ. მურღულიამ, კ. ოჩიგავამ, თ. თედორაძემ, გ. მაკალათიამ. ქების ღირსნი არიან მწვრთნელები: ვ. ხარაზოვი, ო. მაისურაძე, ა. მურღულია. ჩანს, ისინი ნაყოფიერად მუშაობენ აღსაზრდელებთან.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: ა. ტაგიევი, გ. ჯულაყიძე (ორივე — „განთიადი“), თ. ყაზარაშვილი („კოლმეურნე“), ა. ახობაძე („განთიადი“), კ. გულიაშვილი („კოლმეურნე“), მ. ვარშანიძე („ვოდნიკი“), ზ. ხუციშვილი, მ. მურღულია (ორივე — „განთიადი“), კ. ოჩიგავა („სპარტაკი“), გ. მაკალათია („განთიადი“), თ. თედორაძე („სპარტაკი“), ვ. მამარდაშვილი, გ. შონია (ორივე — „განთიადი“).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: „განთიადი“, „სპარტაკი“, თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სპორტული სკოლა.

ანზორ კობაიძე.

სპორტის უჩინარი მსახურნი

„დინამოს“ მინდვრის მკურნალი

სპორტსმენი — მაყურებელი. ძირითადად ასეთნაირ წყვილად წარმოგვიდგენია სპორტული დღესასწაული. სპორტსმენი — დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი, მაყურებელი — ამ დღესასწაულის მოწმე-თვითმხილველი და დღესასწაულის არცთუ მეორეხარისხოვანი მოქმედი გმირი. თუ უფრო მეტად განვავრცობთ დღესასწაულს, მას დაემატება მწვრთნელი, სპორტული მოედანი თუ დარბაზი, ექიმი, მასაჟისტი, გამნათებელი, მკერავი და კიდევ ბევრი სხვა, რომელთაც ზოგჯერ მცირე, მაგრამ აუცილებელი წვლილი შეაქვთ სპორტული შეჯიბრების დღესასწაულად ქცევაში.

„სპორტის უჩინარი მსახურნი“ — ამ რუბრიკით გთავაზობთ წერილებს იმ ადამიანებზე, ვინც ფარდის მიღმა, ჩრდილში მდგარი ირჯება იმისათვის, რომ სპორტსმენს კარგი პირობები შეუქმნას საასპარეზოდ, ჩვენ კი დიდხანს გვახსოვდეს ესა თუ ის სპორტული შეჯიბრება.

რამდენიმე კაცი თავდახრილი მიუყვება მინდორს. ყურადღებით ჩასცქერიან მიწას. ზოგი გათელილ ადგილს ბალახის ბელტით ფარავს, ზოგი შავ მიწას ყრის ნიჩბებით, ზოგს უცნაური სადგისი უკავია და მიწას ჩხვლეტს. მათ საქმიანობას ჭარმაგი მამაკაცი ხელმძღვანელობს. ხან ერთ ჯგუფს მიუახლოვდება, ურჩევს სად რამდენი სასუქი მოაყარონ, ხან მეორე ჯგუფს მიუთითებს, რომელი ადგილია აღსადგენი... აგრონომი ჟორა ხვედელიძე — „სპორტული გაზონების“ განყოფილების უფროსი — რესპუბლიკის მოედნების „მკურნალი“ გახლავთ. მთავარ „პაციენტად“, რა თქმა უნდა, „დინამოს“ მინდორი მიაჩნია. ახლაც მისი გაზონის გაჯანსაღებაზე ზრუნავს.

— რესპუბლიკის მთავარი საფეხბურთო მოედანი შველას მოითხოვს. ნაადრევი თამაშების შემდეგ ბალახი ძლიერ გაითელა, მის აღსადგენად საკმაო გარჯა დაგვჭირდება. საფეხბურთო მინდვრის გაზონი ცოცხალი ორგანიზმივითაა. მზრუნველობა მოაკლდება თუ არა, მყისვე გამოდის მწყობრიდან. სპეციალისტი უნდა გრძნობდეს ბალახის საფარში მომხდარ ყველა ცვლილებას, რათა საჭირო მომენტში დახმარება აღმოუჩინოს.

მართლაც დიდი გარჯა მართებთ ბრიგადის წევრებს. ფეხბურთის ყველა მატჩს სტადიონთან ერთად მინდორიც „ფორმაში“ უნდა შეხვდეს — იგი ხომ სტადიონის „სავიზიტო ბარათია“. მსოფლიოს ყველა ცნობილი სტადიონი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ სანაქებოდ მოვლილი სათამაშო მოედნები აქვთ. რომელი ფეხბურთელი არ ინატრებს „მარაკანაზე“, „უემბლიზე“, „ლუჟნიკში“ თამაშს. დამეთანხმებით, არქიტექტურის რა გინდ ბრწყინვალე ნიმუშიც არ უნდა იყოს სტადიონი, თუ მინდორი არ უვარგა, მისი ფასი კაპიკია. ალბათ გახსოვთ რა ლაზათი მოაკლო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატს მარ-დელ-პლატას გადათხრილ-გადახნულმა მოედანმა. ბურთის ისეთი დიდოსტატების თამაშიც კი, როგორებიც არიან ფრანგები და იტალიელები, გაუფერულდა და ჩვეული მომხიბვლელობა დაჰკარგა.

— ყოველ გაზაფხულს ფეხბურთელებთან ერთად ჩვენც სასტარტო „ციებ-ცხელებით“ ვხვდებით, მაყურებელი სტადიონზე საფეხბურთო დღესასწაულთან შესახვედრად მოდის. თუ ფეხბურთელები ცდილობენ გულშემატკივართა ზამთარში ნალოლიავები იმედები გაამართლონ და მაყურებელს ლამაზი საფეხბურთო სანახაობა აჩვენონ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს სანახაობა მათ სათანადოდ მოვლილ მინდორზე გავამართვინოთ.

...მატჩი დამთავრდა. მოედანი და ტრიბუნები დაცარიელდა. მომავალ თამაშამდე მინდორს არასაფეხბურთო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები ისაკუთრებენ. ყოველი თამაშის შემდეგ საფეხბურთო მოედანი, როგორც დაჭრილი მეომარი, თავის მკურნალს მოელის. მკურნალმაც არ უნდა დააყოვნოს. ამიტომაა, მეორე დღეს, დილით რომ გამოჩნდება ჟორა ხვედელიძე სტადიონზე და ბრიგადის წევრების დახმარებით მოედნის ხან ერთ ნაწილს ადებს „სალბუნს“ და ხან მეორეს.

— ბატონო ჟორა! ყველაზე მკაფიოდ რომელი ფეხბურთელები ტოვებენ თავიანთ „ავტოგრაფს“ მინდორზე?

— რა თქმა უნდა, უხეში ფეხბურთელები. ზოგ მათგანს რომ უყურებ, გგონია, მოედანზე იმისთვისაა გამოსული, მინდორი გადახნას. მათი „ნამოღვაწარის“ წასაშლელად რამდენიმე დღის შრომა გვჭირდება. თუმცა, მინდორს როგორმე ვუშველით, ოღონდ ფეხბურთელებს ნუ დაამტვრევენ და...

— გახანგრძლივებული სეზონი ალბათ მეტისმეტად გტვირთავთ...

— კი, საზრუნავი მოგვემატა, გვიან შემოდგომაზე გამართული თამაშების შემდეგ საფარი ვერ ასწრებს აღდგენას. ბალახის მომძლავრებას რამდენიმე თვე მაინც ჭირდება. უკვე თებერვალში სტადიონმა პირველ მატჩებს უმასპინძლა. ამ თამაშების შემდეგ გაზონი საკმაოდ დაზიანდა და ჯერ კიდევ ვერ „მოიშუშა იარები“. ამას დაემატა ისიც, რომ მოედანი რამდენჯერმე თოვლქვეშ მოექცა და აღდგენითი სამუშაოები შეფერხდა. ახლა ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მინდვრის აერაცია, უკვე გამოვყავით სპეციალური მანქანები, მაგრამ ისინი ეფექტური არ აღმოჩნდა და ამიტომ მთელი მინდვრის ხელით გადაჩხვლეტა გვიხდება.

— რა ზომებს მიმართავთ ბალახის ზრდის დასაჩქარებლად?

— ნიადაგში შეგვაქვს კვარციანი ქვიშა, ტორფი და მსხვილმარცვლოვანი სილა. ვამატებთ აგრეთვე სხვადასხვა მინერალურ და კომპლექსურ სასუქებს, შავ, განოყიერებულ მიწას.

— ჩოგბურთის კორტებისა და ფეხბურთის მინდვრების გაზონებისთვის ხომ სპეციალური ჯიშის ბალახები გამოიყენება?

— ჩვენ ძირითადად ვიყენებთ საძოვრის კოინდარს, მდელოსა და წითელ წივანას. ბალახით გვამარაგებს გაერთიანება „თავთავი“, ბალახის სხვადასხვა ჯიშებს მოსკოვიდან გვიგზავნის „დინამოს“ ცენტრალური საბჭო. სისტემატურად ვაწარმოებთ ბალახის გამოთესვას და გაზონის ახლით შევსებას.

— ჩანს, სპორტსმენებთან ერთად თქვენც არანაკლები ჯაფა გადგებათ სათანადო „ფორმის“ შესანარჩუნებლად.

— ჯაფას ნუღარ იკითხავთ. მარტო ამ სეზონისთვის თბილისის „დინამოს“, დიღმისა და ლესელიძის საწვრთნელი ბაზების მოედნებისათვის 20 ათასი მანეთი გამოგვიყვეს. ამ თანხის მეტი ნაწილი ჩვენი სტადიონის მოედანს უნდა მოხმარდეს. უშუალოდ „დინამოს“ მინდორს 8-კაციანი ბრიგადა უვლის. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ „სპორტული ფორმა“ შევინარჩუნოთ. იმედი გვაქვს არც ფეხბურთელები გაგვაწბილებენ და ჩვენს სტადიონზე ჩატარებული ყოველი მატჩი საინტერესო სანახაობა იქნება.

— მთელი ბრიგადა ალბათ თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარია...

— რა თქმა უნდა, თანაც მარტო „დინამოსი“ კი არა. თამაშის დროს ჩვენი ფეხბურთელების ტრავმებთან ერთად დაზიანებული მინდვრის ბედიც გვაწუხებს ხოლმე. შემიძლია ვთქვა, რომ წაგებას ჩვენ ორმაგად განვიცდით: ქულებიც დაკარგულია და მოედანიც გადასერილი. აი, როცა „დინამო“ მოიგებს, მაშინ თითქოს მუშაობაც გვიადვილდება...

სტადიონზე მოსული მაყურებელი პირველად მინდორს მოავლებს თვალს. ზოგმა შეიძლება არც კი იცის, როგორი მოვლა სჭირდება საფეხბურთო გაზონს.

„დინამოს“ მოედნის მოვლა-პატრონობას ხელი მოჰკიდო, ნიშნავს, არამარტო შენს საქმეს ერთგულებდე, ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივარიც იყო. შენ ნალვაწს ხომ არა მარტო რესპუბლიკის, არამედ თითქმის მთელი ევროპის მაყურებელი უყურებს და ამოწმებს. აგრონომი ჟორა ხვედელიძე თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარია. კარგად იცის მოვლილ მოედანზე რამდენად არის დამოკიდებული მისი გუნდის თამაშის ხარისხი და ამიტომაა, მუხლჩაუხრელი რომ შრომობს თავის ბრიგადის წევრებთან ერთად. ნათქვამია, კარგ ყმას კარგი ცხენი შვენისო. კარგ გუნდს კი ალბათ სტადიონთან ერთად მოედანიც შესაფერისი უნდა ჰქონდეს. როცა ჩვენი გუნდის მიერ თბილისში ჩატარებული ყოველი მატჩი მაყურებელთათვის ზეიმად იქცევა, ვიგულისხმოთ, რომ ამ ზეიმში აგრონომ ჟორა ხვედელიძისა და მისი ბრიგადის წევრების მცირე წვლილიც არის.

კობა ახალბედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი და სახელოვანი გზა

ფოთის ფეხბურთის იუბილე



ფოთის ფეხბურთის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს ორგანიზატორებმა ლამაზი ემბლემა უძღვნეს — სტილიზებულ სტადიონს კოპლებიანი ბურთი და ციფრი „75“ ამშვენებდა.

ქალაქის შოთა რუსთაველის სახელობის კინოსაკონცერტო დარბაზში მრავლად შეიკრიბნენ გულშემატკივრები, სტუმრები, ძველი ფეხბურთელები — ბორის პაიჭაძე, გიორგი ანთაძე, კაკო ყალიჩავა, ასლან ხარბედია, ავთანდილ პაიჭაძე, საშა ალიმონაკი, ლოლო ხოფერია, ვასიკო შუბლაძე, იონა ყურუა, გიორგი ანდღულაძე, აკაკი ქლენტი...

საიუბილეო სალამო შესავალი სიტყვით გახსნა ფოთის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გივი ხომერიკმა. მოხსენება „ფოთის ფეხბურთი 75 წლისაა“ გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლეილა კაკულიამ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა გიორგი ბაჭანიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ, გიორგი ანთაძემ, ვეტერანმა ფეხბურთელმა აკაკი ქლენტმა, ფოთის „კოლხეთის“ კაპიტანმა თეიმურაზ ტყებუჩავამ, სპორტის ოსტატმა ხელბურთში დარეჯან გეფერიძემ, ფოთის ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელმა დავით კულუამ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გია დარჯანიამ.

შეკრებილთა წინაშე ჯილდოები გადასცეს ქალაქის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებაში, წარმოება-დაწესებულებათა ფეხბურთელთა ტურნირში, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის კონკურსში გამარჯვებულთ.

სალამო დამთავრდა დიდი კონცერტით. განსაკუთრებული მოწონება ხვდა ფოთის ახალგაზრდულ საესტრადო ანსამბლ „ექსპერიმენტის“ (ხელმძღვანელი გია ჯანელიძე) ვოკალური კვარტეტის მიერ პირველად შესრულებულ სიმღერას „პირველი მერცხლები“ (ტექსტი ვახტანგ გოგოლაშვილის, მუსიკა ნუგზარ ედილაშვილის) და პოეტ ირაკლი ლოლუას ახალ ლექსს „ფეხბურთი, ჩვენი ფოთური“.



ფეხბურთს „სხვათაშორის“ არ თამაშობენ!

შეიძლება ითქვას, ქართული ფეხბურთის თანატოლი ვარ და სხვებთან ერთად დიდად მახარებს მისი 75 წლის იუბილე. ბევრი მოგონება მაკავშირებს ფოთთან, ძველ ფეხბურთთან, ხშირ-ხშირად ვიგონებ გარდასულ დღეებს, გული სიამით მევსება და თავი „ისევ ის ბიჭი“ მგონია. ფოთში ავიდგი ფეხი, ფოთში ვეზიარე ამ ყველაზე პოპულარულ თამაშს.

სხვათა შორის, პირველი საფეხბურთო „რეპორტაჟები“ სწორედ ფოთის სტადიონიდან „გადაიცემოდა“: პატარა ბიჭები, როგორც წესი, კარის უკან მოთავსებული ერთი დიდი რკინის კასრიდან ვადევნებდით ხოლმე თამაშს თვალყურს. გაიტანდნენ თუ არა ჩვენები ბურთს, კარგა მოზრდილი ქვებით ისეთ რაწკარუწკს ავტეხდით კასრზე, ეკლესიის ზარი გეგონებოდა — ეს ხმა მთელს ფოთს ეფინებოდა და ყველამ იცოდა, რომ ჩვენები იგებდნენ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ფოთის სტადიონზე ბევრი ნიჭიერი ოსტატი აღიზარდა, თბილისის „დინამოსაც“ საკმაოდ კარგ შევსებას ვაძლევდით. სამწუხაროდ, ერთხანს ფოთში ფეხბურთი „მიავიწყდათ“, მაგრამ ეს ორი წელიწადია „კოლხეთი“ კვლავ წარმატებით თამაშობს, ნორჩ ფეხბურთელებსაც კარგი პირი უჩანს... ეს, უწინარეს ყოვლისა, ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ოთარ ხომერიკის, ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარის ჯემალ ციკაბიძის და „კოლხეთის“ მწვრთნელის ჯონი ჯანელიძის დამსახურებაა. და მაინც, მეტი მონდომება და სიყვარულია საჭირო. მინდა ახალგაზრდა მოთამაშეებს ვუთხრა, რომ ფეხბურთი საკმაოდ ძნელი საქმეა და მას ისე, „სხვათაშორის“ არ თამაშობენ.

ბორის პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

იყო და იქნება

ბედნიერი კაცი ვარ — ფეხბურთის გულშემატკივარი, ფოთის მკვიდრი. ქართულმა ფეხბურთმა ხომ ჩემს ქალაქში „აიდგა ფეხი“.

თბილისის „დინამო“ საყოველთაო კერპია, თბილისის „დინამო“ ფოთელთა გუნდიცაა, რამეთუ მასში მრავალ ჩემს თანამოქალაქეს უთამაშია. ჩამოთვლა, ალბათ, არაა საჭირო — ეს ხომ მთელი გუნდია, ტყავის ბურთის უბადლო ოსტატთა ის თანავარსკვლავედი, რომელსაც ბევრი საფეხბურთო ქვეყანა ინატრებდა. არც ისინი იყვნენ ნაკლებნი, ვინც ფოთში დარჩა ბოლომდე: შალვა პაიჭაძე, კოლია და გოგი გოგინავები, კოტე გუნია, მიტრო ასათიანი, ხუტა ქოიავა, ეფრემ ლაითაძე, იონა ყურუა, კაკო ქლენტი, კოსტა გუნია, პეტრე ზამბახიძე, ალბერტ კომახიანი, კარლო ეფრემიძე, მიშა მოწერელია... რა დამავიწყებს მათ დიდებულ თამაშს.

მერწმუნეთ, ყველა ფოთელი სულით ფეხბურთელია, გინდ არ დაეკარებინოს ფეხი ბურთისთვის. 1940 წელს, ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, რომ... პირდაპირ უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდში ამოვჩნდი. ჩემთვის არც უკითხავთ, ისე დამადგეს თვალი. იფიქრეს: ფოთელია და, ალბათ, ფეხბურთსაც კარგად თამაშობსო!

ფეხბურთისადმი სიყვარული ჯერაც არ გამნელებია. დღესაც გულით განვიცდი თბილისის „დინამოს“ — საქართველოს საფეხბურთო სინდისის — წარმატებასა და მარცხს. კაცი იმედით ცოცხლობს: კიდევაც ვნახავთ გაზაფხულს, ჩვენი ბიჭები ისევ გაგვახარებენ, ისევ განმეორდება დიუსელდორფი...

ერთი სურვილი მაქვს: მინდა ამ დიდ გუნდში კვლავ მრავლად იყვნენ ფოთელები — ტყავის ბურთის დიდი ოსტატები, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები. მჯერა, რომ ასეც იქნება.

ბორია, ასლანი, გრიშა და გოგია... იყო და იქნება...

ირაკლი ლოლუა,
ფოთის ფეხბურთის ვეტერანი.

თითქმის მისი თანატოლი...



საოცარი ქალაქია ფოთი. აქ ყველა მეზღვაურია, ყველა ფეხბურთელია და ყველა... ფოთელია. დიახ, ყველა თავისი ქალაქის უსაზღვრო პატრიოტი და ტრფიალია. ლამაზი სახლები დგას ამ საპორტო ქალაქში, ადამიანებიც ლამაზები არიან აქ.

ფეხბურთის 75 წლის იუბილეზე პირზე ყველას „ფეხბურთი“ ეკერა. ქუჩაში, პარკში, ბულვარზე, სასტუმროში თუ სტადიონზე, ყველგან, სადაც ორი ან მეტი ფოთელი ხვდებოდა ერთმანეთს, გაიგონებდით აი, ამ სახელებს: ვალოდია და შალვა პაიჭაძეები, მიტრო ასათიანი, ოსკარ ზივერტი, ჯოჯი ნიკოლაიშვილი, „პაპაშა“ ლაითიძე, რუბენ ალხაზოვი, კოლია გოგინავა, ლუთუნა ეფრემიძე...

თბილისიდან სახელოვან ფეხბურთელთა, ძველ ფოთელთა ჩამოსვლამ უფრო მეტი ლაზათი შემატა მოზეიმე ქალაქს. ქუჩაში ცნობდნენ ძმებ პაიჭაძეებს, ანთაძეს, ყალიჩავას, ხარბედიას... ცნობდნენ? ცნობდნენ კი არა და მოსვენებას არ აძლევდნენ, ხვევნა-კოცნით ლამის დაალრჩეს ძვირფასი სტუმრები. ვინ არ მოიგონეს, რა არ გაიხსენეს:

— ბორია, გახსოვს მიტრო ასათიანი... პორტის ხიდედან რკინიგზის ხიდემდე ყუმბარისებური დარტყმით რომ გზავნიდა ბურთს?

— გოგი, აბა ილიკო მონადირეზე გვიამბე შენებურად. მართალია იხვი, ტახი და ვეფხვი რომ ერთი გასროლით მოკლა?

— ასლან, აბა, თუ გახსოვს, სად იჯდა „მეჩისტე“ სტაჩკო?

— გახსოვს, კაკო, რა ანგარიშით მოვუგეთ ბორჩალოს გუნდს?

— 17:0.

— ავთო, თუ იცი რომელ დუქანზე ეწერა „გვაქვენ სვეჟი ფოთური პივა!“

კარგა ხანს ლაღობდნენ ვეტერანები. მერე ძმები პაიჭაძეები მოულოდნელად სადღაც გაქრნენ.

— ვიცი ახლა სად წავიდნენ ისინი, — თქვა ჩვეული სიდინჯით უხუცესმა კაკო ყალიჩავამ. — თავიანთ ნასახლარს მოინახულებენ.

გამოგიტყდებით, რომ ჩვენც დავინტერესდით და მანქანით დავედევნეთ მათ. მხოლოდ ზღვისპირას, პორტის ახლოს, გაბუნიას ქუჩის ბოლოს დავეწიეთ ძმებს. თუმცა რა დავეწიეთ: ბორისი და ავთანდილი უკვე კარგა ხნის მისული ჩანდნენ თავიანთ ნაფუძარზე. თვალზე ცრემლი მოსდგომოდა ორივეს. ერთხანს მოლივლივე ზღვას აკვირდებოდნენ („აქ იდგა ჩვენი სახლი, ახლა წყალს რომ დაუფარავს მთლიანად, მხოლოდ ეზო გადაურჩენია ბეტონის ჯებირს“).

შორს ფოთის ძველი, ნიკო ნიკოლაძისეული შუქურა მოჩანდა. იგი უნათებდა გზას წყვდიადში ფოთის ნავსადგურისაკენ მომავალ გემებს, მან გაუნათა გზა სოლომონ და ოლღა პაიჭაძეების ოჯახიდან აფრენილ ბიჭებს დიდი სტადიონებისაკენ. მერე ახლადშეფოთლილ ჭადრის ხეს ახედეს ძმებმა — „რამოდენა გაზრდილა, დაბერებულა... ჩვენსავით! ბავშვები მის მსხვილ ტოტს საქანელას ვაბამდით და მთელი დღე ვქანაობდით, სანამ უფროსები „ბურთაობდნენ“. მერე საქანელისთვის ვილას ეცალა. ჯერ ჭინჭის, მერე ხარის ბუშტის და ბოლოს ტყავის ბურთს გადავყევით“.

„ფეხბურთის კარუზოს“ სიხარულის ცრემლი მოდგომოდა თვალზე. ფოთური ფეხბურთი 75 წლისა გახდა, თითქმის მისი თანატოლი...

●

ამ სურათებს ერთმანეთისაგან ორ-ორი ათეული წელი აშორებს.

მათგან პირველი ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზეა გადაღებული: ახე თამაშობდნენ ფეხბურთს ძველად ფოთის ნავსადგურთან მდებარე სტადიონზე სტუმარ-მასპინძელნი — ფოთელი და ინგლისელი ფეხბურთელები.

ქვემოთ მარცხენა სურათზე, რომელიც გადაღებულია 1925 წელს, ხედავთ ფოთის ერთ-ერთ უძველეს გუნდს.

ფოთელმა ფეხბურთელებმა, რომელთაც იმ ხანად გიორგი ანთაძე ავარჯიშებდა, 1964 წელს ოხლოში საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს ნორვეგიის საზღვაო ნაოსნობის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 (ფოტო ქვემოთ, შუაში).

ეს კი (ფოტო მარჯვნივ) ფოთის „კოლხეთის“ დღევანდელი გუნდი გახლავთ: პირველი დგას გუნდის უფროსი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე.

აი „ფოთელი თბილისელებიც“ — ფეხბურთის გამოჩენილი ვეტერანები მშობლიურ ქალაქში (მარცხნიდან): ასლან ხარბედია, ბორის პაიჭაძე, კაკო ყალიჩავა, ავთანდილ პაიჭაძე, გიორგი ანთაძე.

ძველი სურათების ფოტოფირები მოგვაწოდა ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველმა **ლენა ქოიავამ**, რომელსაც რედაქცია მადლობას უხდის.

ფოთის „კოლხეთის“ გუნდსა და ვეტერან ფეხბურთელებს სპეციალურად „ლელოსათვის“ სურათი გადაუღო გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქციის ფოტორეპორტიორმა **რამინ ღვამიჩავამ**.

გვერდი მოამზადა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა

ოთარ ნოზაძემ.
ქ. ფოთი.

დაველოდოთ, შემოდგომაც მოვა!

მოჭადრაკეები უფრთხიან ცამეტს, გარი კასპაროვს კი იგი იღბლიან რიცხვად მიაჩნია: ცამეტში დაიბადა, თანაც ცამეტ აპრილს, შუა გაზაფხულზე, ბუნების გაახალგაზრდავების ჟამს.

გარი მხოლოდ თვრამეტისა იყო, ანატოლი კარპოვი კი მეორეჯერ ემზადებოდა თავისი ტიტულის დასაცავად. და, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მაშინ ბევრი წინასწარმეტყველებდა, მესამედ ჩემპიონს საჭადრაკო გვირგვინის დაცვა გარი კასპაროვთან ორთაბრძოლაში მოუწევსო.

ყველაფერი უჩვეულოა ჭაბუკი დიდოსტატის სპორტულ ცხოვრებაში.

დაიბადა ბაქოში, 1963 წელს, ინჟინერ-რადიოტექნიკოსთა ოჯახში. ბავშვის უჩვეულო ნიჭიერებამ მალე იჩინა თავი: ძალიან ადრე ისწავლა კითხვა და ჩინებული მუსიკალური სმენაც აღმოაჩნდა.

გარის მშობლები საღამოობით ჭადრაკის დაფას მიუსხდებოდნენ ხოლმე; ზოგჯერ თამაშობდნენ, უფრო ხშირად კი ეტიუდებსა და ამოცანებს ხსნიდნენ. პატარა გარი გატრუნული მისჩერებოდა დაფასა და ფიგურებს. მშობლებს აზრადაც არ მოსვლიათ თამაში ესწავლებინათ მისთვის — თითისტოლა ღლაპი ჭადრაკს რას გაუგებსო. მაგრამ, ერთხელაც იყო და, რომელიღაც ამოცანის ამოხსნაზე „შეჭირვებული" მშობლების დავაში ხუთი წლის გარი ჩაერია: „გადადგი, დე, დედოფალი ცე შვიდზე და მეორე სვლაზე ტურით მატს ჩაუსვამ!" მშობლებს თვალები გაუფართოვდათ: „რა იცი შენ ცე შვიდი და მატი!" „აი, თუ არ ვიცი" — პატარა ხელმა მართლაც დაითრია ლაზიერი, ცე მეშვიდე უჯრაზე დასვა და, ჰოი, საკვირველებავ — გამოუვალი შამათი შემდეგ სვლაზე! ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. შეამოწმეს — აღმოჩნდა, რომ გარის ზეპირად სცოდნია მთელი დაფა და უშეცდომოდ პოულობდა ნებისმიერ უჯრას. და, რაც მთავარია, იოლად ხსნიდა საჭადრაკო ამოცანებსა და ეტიუდებს, რაზედაც მისი მშობლები თავს იმტვრევდნენ.

ამის შემდეგ გარი პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრეში მიაბარეს. ოსტატმა ოლეგ პრივოროტსკიმ ხელი შეუწყო ბიჭუნას სწრაფვას, დამოუკიდებლად ემუშავა საჭადრაკო ლიტერატურაზე. გარი, ზღაპრის გმირივით, წლობით კი არ იზრდებოდა, არამედ დღეობით და, თქვენ წარმოიდგინეთ, საათობითაც კი. ერთხელ „კომსომოლსკაია პრავდამ" საჭადრაკო ამოცანა გამოაქვეყნა, რომელზედაც სწორი პასუხი ვერავისგან მიიღო— ამოხსნა ეფუძნებოდა უაღრესად ორიგინალურ, პარადოქსულ სვლას: გაზეთმა, რომ იტყვიან, იხტიბარი არ გაიტეხა და მეორედაც დაბეჭდა ამოცანა, თან „შემაფუცხუნებელი" სათაური — „აბა, ჰე, ერუდიტებო!" — წარუმძღვარა. ბაქოს პიონერთა სასახლის საჭადრაკო სექციაშიც სცადეს ამოხსნა: ფიგურები დააწყვეს და ის იყო, მწვრთნელიან-მოსწავლეებიანად პოზიციას უნდა ჩაღრმავებოდნენ, მაგრამ ვინ აცალათ: „მხედარი პაშ ერთი!" — იმავე წამს გაისმა ცხრა წლის გარის რეპლიკა და ანალიზიც ამით დამთავრდა.

გარი შეჯიბრებებშიც იღებს მონაწილეობას. ბაქოს საღამოს გაზეთის პრიზზე გამართულ ბლიცტურნირში გარის გაუჭირდა, უფრო სწორად, ფეხზე ჩამოწყდა — ხუმრობა ხომ არ იყო ერთ საღამოს ცხრა პარტიის დგომელა თამაში — სკამზე მჯდარი ბიჭუნა ფიგურებს ვერ სწვდებოდა! გარიმ ცხრავე პარტია მოიგო; მიანიჭეს პირველი თანრიგი, ჩარიცხეს რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელმაც 1973 წელს მონაწილეობა მიიღო საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში. აქ კი გარის ძალა უკვე სათანადოდ შეაფასეს და შესთავაზეს: „გინდა ბოტვინიკის სკოლაში იმეცადინო?"

ბოტვინიკის სკოლა გარიზე მხოლოდ ერთი წლით იყო „უფროსი", მაგრამ უკვე მოეპოვებინა საყოველთაო აღიარება. დღეს თითქმის ყოველი მესამე უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკე ამ სკოლის აღზრდილია. ჭადრაკის აკადემიკოსის სკოლაში ჩარიცხვა ერთეულთა ხვედრია. პატარა გარიმ უძნელეს კონკურსში დაამტკიცა, რომ იგი ამ პატივის ღირსი იყო.

იმხანად გარი შავგვრემანი, გრუზათმიანი, გამხდარი ბიჭუნა გახლდათ, თაფლისფერ თვალებს ეშმაკურად აკვესებდა და არც ენაზე ედებოდა ჭალი — სხაპასხუპით შეეძლო ესაუბრა არა მარტო ისეთ „მსუბუქ" თემაზე, როგორიცაა ფეხბურთი, არამედ — ისტორიასა და ლიტერატურაზე. ჭადრაკზე? კი, ბატონო, ჰკითხეთ, რაც გნებავთ, გარის ყველაფერზე მზადა აქვს პასუხი:

— ვინ არის ჩემი კერპი? რა თქმა უნდა, სპასკი. რატომ? რატომ და მსოფლიო ჩემპიონია, — ასე პასუხობდა გარი 1972 წლამდე. შემდეგ ამავე მიზეზით გახდა მისი კერპი რობერტ ფიშერი.

მერე კასპაროვი ღიმილით იხსენებდა:

— მე ვიქცეოდი ცერცეტი გულშემატკივარივით, რომელსაც ის გუნდი უყვარს, რომელიც იგებს. ახლა კი რამდენიმე მოჭადრაკის დასახელება შემიძლია, რომელთაგანაც მინდა რაღაც-რაღაცეები ვისწავლო და გადმოვიღო: კარპოვისგან — ფსიქოლოგიური მდგრადობა, პეტროსიანისაგან — დახვეწილი პოზიციური თამაშის ტექნიკა, ბოტვინიკისაგან — ლოგიკა, ალიოხინისაგან — ინტუიცია, ტალისაგან— გამბედაობა...

ახლახან კი დიდოსტატმა კასპაროვმა ასე ჩამოაყალიბა თავისი საჭადრაკო კრედო:

— კორიფეთაგან, პირველ ყოვლისა, ალიოხინს გამოვარჩევდი. მხიბლავს მისი უნივერსალიზმი, მისეული აღქმა პოზიციისა, მისი იდეები. დარწმუნებული ვარ, რომ ამნაირი ჭადრაკისაა მომავალი.

1974 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩატარდა ტრადიციული ტურნირი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ბაქოელთა გუნდში მეორე დაფასთან გარი დასვეს. გუნდების კაპიტნები, დიდოსტატები, ერთდროული თამაშის სეანსს უტარებდნენ ყმაწვილებს. პატარა გარი მამაცურად იბრძოდა. დამარცხდა ტალთან, პოლუგაევსკისთან, ტაიმანოვთან, მაგრამ მარტო მათთან თამაშიც კი, თუნდაც სეანსში, რად ღირდა. დიდოსტატმა კუზმინმა კი, საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორმა და საზონათშორისო ტურნირის მონაწილემ, ვერაფრით ვერ გატეხა ენდშპილში ბიჭუნა, თუმცაღა ზედმეტი პაიკი ჰქონდა. სენსაციური ყაიმი! მაგრამ მთავარი სენსაცია წინ იყო — გარიმ ფარ-ხმალი დააყრევინა საქვეყნოდ ცნობილ დიდოსტატ ავერბახს.

მომდევნო წელს კი გარი უკვე პირველი დაფიდან უმკლავდებოდა დიდოსტატ-კაპიტნებს და მეტი წარმატებითაც: ერთს მოუგო, კორჩნოისთან, პოლუგაევსკისთან და კუზმინთან კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრები.

ეს ყველაფერი მაინც ერთდროული თამაშის სეანსი გახლდათ. გარის სახელმა მთელი კავშირის გასაგონად მაინც თბილისში დაიქუხა, 1976 წლის იანვარში, როცა მან ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი მოიგო. არ იფიქროთ, რომ თავის ტოლა ბიჭებს ეთამაშებოდა— ზემო ასაკობრივი ზღვარი ამგვარი ტურნირებისა 18 წელი გახლავთ! 1934 წლიდან ტარდება ჭაბუკთა პირველობა და არავის მოუგია იგი თორმეტი წლისას. ესეც გარის პირველი რეკორდი! პრესაში აღნიშნეს, რომ ასე პატარას ამგვარი წარმატებით არც სპასკის უასპარეზია, არც ტალს და არც კარპოვს. ცოტა უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ მეექვსეკლასელი ბიჭი სპორტულმა ჟურნალისტებმა თავიანთ რეფერენდუმზე აზერბაიჯანის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გარი კასპაროვი, მართლაც სპორტული ყმაწვილი გახლდათ: საათობით შეეძლო არა მარტო საჭადრაკო დაფასთან გაუნძრევლად ჯდომა, არამედ ეზოში ბურთის დევნა-ტარება; თუ ბურთს წინ გაუჭრიდნენ, კაციშვილი ვერ ეწეოდა. როცა შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი საგანგებო მომზადების გარეშე გარი ას მეტრს თორმეტ წამში ფარავდა. არც კითხვისთვის დაუნებებია თავი — ოჯახმა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ორასი ტომი შეიძინა და გარიმაც ჩაიყურყუმალავა ამ ზღვა წიგნებში.

ედუარდ გუფელდი,
დიდოსტატი.

(დასასრული იქნება)



გადამწყვეტი მატჩი

სსრ კავშირი — უნგრეთი

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები, თამაში დაიწყება 20 საათზე თბილისის დროით, ცენტრალური ტელევიზია გადასცემს ორივე ტაიმს.

მკითხველს, იმისათვის, რომ იცოდეს, რა ვითარებაა ახლა ევროპის ზონის „ა" ჯგუფში, სადაც დღევანდელი მეტოქენი გამოდიან, გავაცნობთ დღემდე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს:

ბულგარეთი — უნგრეთი 1:1
უნგრეთი — საბერძნეთი 3:1
ბულგარეთი — სსრ კავშირი 2:2
სსრ კავშირი — საბერძნეთი 3:0
უნგრეთი — სსრ კავშირი 0:1
საბერძნეთი — უნგრეთი 1:2
საბერძნეთი — სსრ კავშირი 1:3
სსრ კავშირი — ბულგარეთი 0:0
ბულგარეთი — საბერძნეთი 0:0
უნგრეთი — ბულგარეთი 1:1

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	3	2	0	9-3	8
უნგრეთი	5	2	2	1	7-5	6
ბულგარეთი	5	0	5	0	4-4	5
საბერძნეთი	5	0	1	4	3-11	1

ჯგუფში გასამართავია კიდევ 2 მატჩი: საბერძნეთი — ბულგარეთი და სსრ კავშირი — უნგრეთი. ვითარება ცხადზე ცხადია: ფინალის საგზურის პრეტენდენტი მხოლოდ ორია, სსრ კავშირის ნაკრებს ფრე ხელს აძლევს, უნგრელებმა კი უნდა გაიმარჯვონ და თანაც ისეთი სხვაობით, რომ გაუსწრონ თავიანთ მეტოქეს, — ჩვენს გუნდს აქტივში აქვს 6 ბურთი, ხოლო უნგრელებს 2. საეჭვოა, სტუმრებმა დაძლიონ ასეთი დიდი სხვაობა, წინასწარმეტყველება ფეხბურთში, საერთოდ, ძნელია, ამიტომ ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ საბჭოთა ოლიმპიელ ფეხბურთელებს უფლება აქვთ დათმონ თამაში, ვთქვათ, 3 ბურთის სხვაობით და ამით შეინარჩუნონ ფინალის საგზური. ბრძოლა იქნება შეუპოვარი, მეტოქეები მთელ თავიანთ შესაძლებლობებს გამოავლენენ.

ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი ეტაპის I წრეში საბჭოთა ფეხბურთელებმა უნგრელები მათივე მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხეს. საინტერესოა, რომ უნგრეთის პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდები თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ორივეს ერთი ხელმძღვანელი ჰყავს — დიერდ მეზეი. მწვრთნელმა ბევრი იმუშავა თავის გუნდთან ამ გადამწყვეტი მატჩისთვის მზადების პერიოდში. უნგრელებმა გაიმარჯვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან — 4:1, შემდეგ იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში გაემგზავრნენ, სადაც ქვეყნის ნაკრებთან დამარცხდნენ ანგარიშით 1:2, 4 აპრილს კი სტამბოლში, 40 ათასი მაყურებლის თანდასწრებით შეხვდნენ თურქეთის ნაკრებს და სენსაციური ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 6:0 (2-2 ბურთი გაიტანეს მესაროშმა და ესტერჰაზიმ, თითო — კარდოშმა და ბოდონიმ).

ამის შემდეგ უნგრელებმა ბუდაპეშტში მიიღეს ბულგარეთის ოლიმპიური ნაკრები. ეს იყო მეტად საპასუხისმგებლო მატჩი, მაგრამ უნგრელმა ოლიმპიელებმა ამჯერად ვერ გაართვეს თავი რთულ ამოცანას, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. სწორედ ამიტომაა, უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები დღეს ასეთ მძიმე ვითარებაში რომ იმყოფება.

25 აპრილის მატჩისთვის უნგრეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ემზადებოდნენ: ა. კოვაჩი, პ. დისტლი, ა. როტი, ი. კარდოში, გ. კეპალში, დ. გალჰიდი, ზ. პეტერი, ი. ჩუხაი, დ. ჩონკა, პ. ჰანიხი, დ. ბურჩა, ა. კუროუცი, ლ. დიმეში, ა. ნადი, შ. კინჩეში, შ. კისნერი, ო. საბო, ლ. დაიკა, შ. კიში, ფ. მესაროში, დ. ჰაისანი, მ. ესტერჰაზი.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების განაცხადში 22 ფეხბურთელია: **მეკარეები** — ვ. ჩანოვი („ტორპედო"), ვ. ელინსკასი („შახტიორი"), ვ. ნოვიკოვი (ცსკა); **მცველები** — ვ. შიშკინი და ვ. იანუშევსკი („დინამო", მინსკი), ვ. სოჩნოვი, გ. მოროზოვი და ბ. პოზდნიაკოვი („სპარტაკი"), ვ. ქუპიკოვი („ტორპედო"), ნ. პავლოვი („დნეპრი"), ვ. კასპარავიჩიუსი („ჟალგირისი"); **შუა და წინა ხაზების მოთამაშეები:** ს. ალეინიკოვი, ს. გოცმანოვი, ა. ზიგმანტოვიჩი, ი. პუდიშევი და ვ. სოკოლი („დინამო", მინსკი), გ. ლიტოვჩენკო და ო. პროტასოვი („დნეპრი"), ე. კუზნეცოვი („სპარტაკი"), ს. სტუკაშოვი („ქაირათი"), ვ. გრაჩოვი („შახტიორი"), ა. ვორობიოვი (ასკ, დონის როსტოვი). გუნდს წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. მალოფეევი.

ფინიშის მისადგომებთან

სოჭი, 24 აპრილი (ტელეფონით). ჭაბუკთა (20 წლამდე) მსოფლიო პირველობის ერთი საგზურისთვის ბრძოლა დასასრულს უახლოვდება.

10 ტურის შემდეგ ლემბიტ ოლს (ტალინი) 8,5 ქულა აქვს, გია გიორგაძესა და სსრ კავშირის ჩემპიონ ჭაბუკთა შორის ალექსეი ხალიფმანს (ლენინგრადი) — 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია.

მოჭადრაკეებს სათამაშო დარ კიდევ სამ-სამი პარტია.

ვინ მოხვდება უმაღლეს ლიგაში

ტყიბული, 24 აპრილი (ტელეფონით). აქ მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა 44-ე ჩემპიონატი (I ლიგა). ამ შეჯიბრების პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი უმაღლესი ლიგის საგზურებს მიიღებენ. 14 ტურის შემდეგ დავით ჩაჩიბაიას, გია ბაღათურიოვს (ორივე — თბილისი), გრიგოლ ბიბილაშვილს (რუსთავი) 10,5-10,5 ქულა აქვთ, ბესიკ ხეცურიანს (ქუთაისი), კარენ ბაბახანოვს (თბილისი) 9,5-9,5, რეზო დადიანს (სოხუმ 8,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე ერ ტური დარჩა.

ოთარ კოგახ
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მს

რედაქტორი ა. გოგელ

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

29 აპრილი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

დასაწყისი 19 საათზე

ბილეთები და საფეხბურთო ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებ გაიყიდება 26-27 აპრილს 10 საათიდან, ხოლო სტადიონის სალარო ში 26 აპრილს 10 საათიდან. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვ გმირებისათვის და სამამულო ომის მონაწილეებისათვის იმუშავე № 6 სალარო.

ფეხბურთის აბონემენტის მფლობელებს საფეხბურთო ლატარი ბილეთები მიეყიდებათ № 7 სალაროში.

საფეხბურთო ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის ბილე ბთან რაოდენობრივი თანაფარდობით.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობანი ითამაშებენ „ლოკ მოტივის" სტადიონზე 28 აპრილს.

დასაწყისი 18 საათზე და 30 წუთზე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 09